განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის საბაკალავრო პროგრამა

შეფასების თარიღ(ებ)ი
06.11.18

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206046045
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჰალუქ ქაბალიოღლუ - სტამბულის უნივერსიტეტის პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ჟვანია - სამართლის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი შპს შავიზ ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორანტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი - სამართლის დოქტორანტი კავკასიის უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი სამართლის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 2005 წლიდან. 2013 წელს უნივერსიტეტმა წარადგინა ახალი სამართლის საბაკალავრო პროგრამა რომელსაც წარმატებით მიენიჭა აკრედიტაცია. პროგრამა მისი არსებობის მნაძილზე 5-ჯერ იქნა მოდიფიცირებული. ცვლილებები განხორციელდა ასევე 2014 წელს წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გაზიარების მიზნით.

პროგრამა საბოლოო რედაქციით სტუდენტებს სთავაზობს 320 კრედიტს სავალდებულო და არჩევითი კურსების შემადგენლობით. პროგრამა ეფუძნება თეორიულ და პრაქტიკულ შინაარსს. 240 კრედიტი რომელიც აუცილებელია იმისათვის რომ სტუდეტს მიენიჭოს სამართლის ბაკალავრის კვლაიფიკაცია დაყოფილია შემდეგნაირად: 30 კრედიტი მოცემულია სავალადებულო კურსებისათვის, 20 კრედიტი ეძღვნება სავალდებულო ერთ-ერთ ევროპულ ენას (გერმანული, ინგლისური), 155 კრედიტი მინიჭებული აქვს სავალდებულო ძირითად დისციპლინებს, მათ შორის 10 კრედიტი დამამათვარებელ კვლევით პრპოექტს, 10 კრედიტი პროფესიულ პრაქტიკას, პრაქტიკუმი სპეციალიზაციაში - 5 კრედიტი - მინიჭებული იქნება სამ სილაბუსზე დაყრდნობით - პრაქტიკუმი (იმიტირებული სასამრთლო) სამოქალაქო სამართალი, პრაქტიკუმი (იმიტირებული სასამართლო) კერძო სამართალი და პრაქტიკუმი (იმიტირებული სასამართლო) სისხლის სამართალი - (სავალდებულო არჩევითი,სტუდენტის სურვილის მიხედვით) 55 კრედიტის მისანიჭებლად. 135 ცრედიტის მოცულობის არჩევითი დისციპლინები დაჯგუფებულია 5 მოდულის მიხედვით. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს კონცენტრირება მოახდინოს ერთერთი მიმართულებით: სამართალი (სამართლის თეორია და მეთოდოლოგია, ფილოსოფია, ისტორია), სამოქალაქო სამართალივ (საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული), კერძო სამართალი, სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართალი და/ან ინდივიდუალური პროფილის შექმნა სხვა და სხვა სპეციალობის საგნების მოდულის კონბიბირებით და/ან აკადემიური დისციპლინებით (მაგალითისათვის, კერძო სამართალში ანდმინისტრაციული სამართლის ელემენტებიღ და ა.შ). სამართალი (სამართლის თეორია და მეთოდოლოგია, ფილოსოფია, ისტორია) მოდული მოიცავს 20 კრედიტს არჩევითი საგნების მიხედვით, სამოქალაქო სამართლის მოდული - 40 კრედიტი, კერძო სამართლის მოდული - 30 კრედიტი, სისხლის სამართლის მოდული - 20 კრედიტი, საერთაშორისო სამართლის მოდული - 25 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი პირველ დღეს დაესწრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ წინამოსამზადებელ შეხვედრას დოკუმენტების გაცნობის და წინასწარი ვიზიტზე დასასმელი შეკითხვების მომზადების მიზნით. უშუალოდ ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 6 ნოემბერს. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული და დაგეგმილი როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ასევე თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ. ვიზიტი მოიცავდა ინფრასტრუქტურის დათვალიერებას და შეფასებას, ასევე ინტერვიუებს სხვადასხვა ჯგუფებთან: ადმინისტრაციასთან რექტორის და დეკანის ჩატვლით, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან, აკადემიურ და მწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვ**

აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით სამართლის საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობის თვალსაზრისით შეფასებულ იქნა შემდეგნაირად:
სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სტანდარტი 3 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**
- სილაბუსების უმეტესობაში შეფასების კრიტერიუმები იდენტურია, ერთადერთი განსხვავება მდგომარეობს ქულების დაყოფაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებულია დალაგდეს სილაბუსები პირადი შეხედულებების მიხედვით, ასევე კურსის სპეციფიკის მიხედვით იმისათვის, რომ თითოეული ლექტორის აკადემიური თავისუფლება იყოს დაცული.
- ზოგიერთ სილაბუსში საჭიროა შეფასების დეტალური კრიტერიუმების გაწერა. საბოლოო და შუალედურ გამოცდებზე სტუდენტებს უნდა შესთავაზონ გამოცდის თემები ორი ან მეტი კომპონენტით იმისათვის, რომ გადამოწმდეს მათ მიერ მთელი სემესტრის მანძილზე მიღებული ცოდნა.
- უნივერსიტეტმა უნდა გადაამოწმოს და დაამუშაოს ზოგიერთი სილაბუსის შეფასების კრიტერიუმი, შეფასება მოცემული უნდა იყოს დეტალური ფორმით, კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით რომელსაც გამოიყენებს პროფესორი.
- ინტერნაციონალიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია სასწავლო ნაწილის გარკვეული ნაწილი წაკითხულ იქნას უცხოურ ენაზე (ინგლისური, გერმანული). აღნიშნული მიდგომა ასევე კარგი გზაა არის უცხო ენის უნარის განვითარებისათვის. ასევე ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში დაეხმარება კარიერულ წინსვლაში და განვითარებაში. უნივერსიტეტმა ფოკუსირება უნდა მოახდინოს სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლითი შესაძლებლობების ჩამოყალიბებაზე. უნდა გაგრძელდეს მუშაობა არსებულ და ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან იმისათვის რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა გამოყენებული იქნას პროგრამის განვითარების მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- უმჯობესი იქნება უნივერსიტეტმა ეროვნულ გამოცდებზე დაწიოს მიღების მინიმალური ზღვარი იმისათვის რომ უფრო მეტმა სტუდენტმა მოახერხოს უნივერსიტეტში ჩაბარება.
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვთ საშუალება გამოაქვეყნონ სტატიები უნივერსიტეტის ჟურნალში, ორგანიზება გაუწიონ და მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში რაც ერთგავრი დასტურია იმისა რომ პროგრამის მიზნები მიღწევადია. მიუხედავად ამისა, უკეთესი იქნება თუ კი უნივერსიტეტი გააფართოებს საძლებლობებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის იმისათვის რომ მონაწილეობა მიიღონ სხვადსხვა აკადემიურ აქტივობებში. მაგალითისათვის: მოხდეს მათი ჩართვა უნივერსიტეტის გარეთ აქტივობებში, იქნება ეს კვლევა, საგრანტო პროექტი, სამეცნიერო კონფერენცია თუ სხვა აქტივობა.
- უმჯობესი იქნება თუ კი ელექტრონული ინტერნეტ ბაზა „Heinonline" ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკიდან სტუდენტებისათვის. აღნიშნულ ბაზაზე სრული წვდომა სტუდენტს საშუალებას აძლევს ისწავლოს და აწარმოოს კვლევა, გამოიყენოს რელევანტური საერთაშორისო რესურსი ცოდნის განვითარებაში.

- უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის პროფესიულ განვითარებას. მათ აქვთ პუბლიკაციები რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ჟურნალში. რამოდენიმე მათგანი (აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები) ჩართულები არიან საერთაშორისო პროექტებში. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა უნივერსიტეტმა მოახერხოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა უნივერსიტეტის გარეთ განხორციელებულ აქტივობებში. მაგალითისათვის: კვლევები, საგრანტო პროექტები სამეცნიერო კონფერენციებისათვის. ასევე შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გამოცილების გაზიარების მიზნით, კოლექტიური კვლევითი პროექტების უზრუნველყოფა რგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე როგორც სამეცნიერო ასევე კარიერული განვითარების მიზნით, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სამომავლო განვითარებისათვის.
- უნივერსიტეტმა და სამართლის ფაკულტეტმა იმისათვის რომ სიღრმისეულად მიაღწიონ მიზანს უფრო მეტად უნდა იმუშაონ გრანტების და დაფინანსების მოპოვებაზე სტუდენტებისათვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის. აღნიშნული მიდგომა ასევე შეეხება ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლებას. ყოველივე გაზრდის მეტის სტუდენტის მოზიდვის შესაზლებლობას. (უნდა აღინიშნოს რომ რანტები და სტიპენდია სტუდენტებისათვის უკვე არსებობს).
- უმჯობესი იქნება თუ კი იტერნეტ ბაზა მაგალითისათვის "Heinonline" და "LexisNexis" ხელმისაწვდომი იქნება ბიბლიოთეკაში როგორც სტუდენტებისათვის ასევე აკადემიური პერსონალისათვის. სრული წვდომა აღნიშნულ ბაზებზე მათ საშუალებას მისცემს ისწავლონ და იკვლიონ შესატყვისი საერთაშორისო რესურსის გამოყენებით, მათი სწავლის განვითარების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს არჩევით საგნებს: ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის (2014 წლის ივნისში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს) როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. აღნიშნული საგანი საჭიროა და საერთაშორისო ორიენტაციაზე მიუთითებს. ასევე საბაკალავრო პროგრამის დასრულებამდე, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს „რეპეტიტორიუმის კურსს". აღნიშნული კურსი ჩამოყალიბდა იმისათვის, რომ სტუდენტმა გაიმეოროს/მიმოიხილოს ძირითადი კურსები რაც მან გაიარა პროგრამის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში გაეცნოს ახალ თემებს, ცვლილებებს და დამატებებს საქართველოს კანონმდებლობაში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს თავაზობს არა მხოლოდ თეორიულიცოდნის მიღების შესაძლებლობას, არამედ მას აძლევს შანს გამოიმუშავოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შეძლოს თეორიული ცოდნის პრაქტიკა გამოყენება. ეს გარემოება სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. უნდა აღინიშნოს, რომ BA პროგრამის ამოცანები შეესაბამება მის მისიას, რეალისტურია, მიღწევადია და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ხაზი უნდა გაესვას, რომ სამართლის პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნია დიდი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება. ეს ფაქტი გარანტიაა იმისა, რომ მათ მიერ შედგენილი სასწავლო კურები სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს არა მარტო ტეორიული ცოდნა, არამედ ამ ცოდინის პრაქტიკაში გამოყენების შესაბამის უნარ- ჩვევებსაც გამოიმუშავებს. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების შინაარსი ასახავს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და გამოწვევებს. უნივერსიტეტს გააჩნიან შესაბამისი ინფრასტრუქტურული რესურსი, რაც ასევე ემსახურება პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. ეს გარემოებები ცხადყოფს, რომ პროგრამის მიერ დასახული მიზნები რეალურიდა მიღწევადია. სტუდენტებისთვის შეთავაზებული არჩევითი საგნების სიმრავლე საჯარო, კერძო, სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მიმართულებებით შესაძლებლობას იძლევა სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე მისცეს მას თავისულება მისთვის სასურველი მიმართულებით გაიღრმავოს ცოდნა. მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი და მათ მიერ განხორციელებული სასწავლოკურსები საშაულებას აძლევს სტუდენტს მარტივად გააგრძელოს სწავლა სამაგისტრო პროგრამაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების დოკუმენტი o ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

- ინტერვიუები სტუდენტებთან
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მათი ნაწილი საჭიროებს გადამუშავებას. პროგრამაშ წარმოდგენილია რამოდენიმე სილაბუსი, სადაც შეფასების ნაწილი არ არის სრულად დამუშავებული და დეტალურად წარმოდგენილი, რაც აჩენს საშიშროებას, რომ ამ საგნებში შედეგის მიღწევასტან დაკავშირებით შეიძლება შეიქმნას დაბრკოლებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიონალიზმიშეიძლება გახდეს ამ ხარვეზის დამაკოპესირებელი. გასაუბრებებზეც გამახვილდა ამ დეტალებზე ყურადღება და პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალი მზად არის გაითვალისწინოს აღნიშნული შენიშვნები და აღმოფხვრას პრობლემები სილაბუსებში. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი სასწავლო კურების სილაბუსები: ,,საერთაშორისო სისხლის სამართალი“; ,,სისხლის სამართლის მოდული კრიმინოლოგია“; ,,შედარებითი კერძო სამართალი“ და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან o ინტერვიუ აკადემიურდა მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა უნდა შესძლოს და დაამუშაოს კონკრეტული საგნების სილაბუსების შეფასების ნაწილი, დეტალურად უნდა მოხდეს შეფასებების ცაშლა, ასევე სილაბუსებში უნდა მიეთითოს სწორედ ის კრიტერიუმები შეფასებისა, რომელსაც ლექტორი რეალურად იყენებს სწავლის პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	■			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პიროვნებების პროგრამაში ჩართვას. საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერ მსურველს, რომელიც ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს შეუძლია ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქისათვის კანონმდებლობით დადგენილ საგამონაკლისო შემთხვევებში, პირის ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა წესის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველებელს დაწესებული აქვთ ეროვნული გამოცდების შედარებით მაღალი მოთხოვნების სტანდარდატები, რაც ნიშნავს რომ უნივერსიტეტი არ მიიღებს სტუდენტებს, რომლებიც გადალახავენ ეროვნული გამოცდების მინიმალურ ზღვარს, მაგრამ ვერ გადალახავენ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ერთი მხრივ, ეს პირობა ხელს უწყობს ჩარიცხვის ხარისხობრივად მაღალ დონეს, ხოლო მეორე მხრივ ეს არის საფუძველი, რომლის მიხედვითაც სტუდენტების მცირე რადენობა მოდის შესაბამისი პროგრამით, ხოლო ეს არის გამოწვევა საბაკალავრო პროგრამის მდგრადობისა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის საბაკალავრო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o უნივერსიტეტის ვებგვერდი o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უმჯობესი იქნება უნივერსიტეტმა ეროვნულ გამოცდებზე დაწიოს მიღების მინიმალური ზღვარი იმისათვის რომ უფრო მეტმა სტუდენტმა მოახერხოს უნივერსიტეტში ჩაბარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და ასევე გათვალისწინებულია თანამედროვე შეხედულებები და მიმართულებები, პროგრამა შეესაბამება ბაზრის მთხოვნებს და სრულად ასახავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. ასევე პროგრამაში წარმოდგენილი სწავლა- სწვლების მეთოდები შეესაბამება სტანდარტებს. რაც შეეხება კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმებს, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ საგანში შეფასების ნაწილი ბუნდოვანია და დეტალურად არ არის წარმოდგენილი, გაუმჭვირვალეა და აქედან გამომდინარე რთულია დადასტურება იმისა, რომ ეს საგანი სრულად გადის წინასწარ დადგენილ შედეგებზე, რაც პირდაპირ კავშირშია პროგრამის შინაარსთან, რადგან პროგრამის შინაარსი გარდა მასში შემავალი დისციპლინების მიზნებისა, შინაარსისა და სწავლა - სწავლების მეთოდებისა, მოიცავს ასევე შეფასების ნაწილს, რომელიც პირდაპირი ინდიკატორია რამდენად ხერხდება განსაზღვრული აქტივობების შეფასებებით შედეგზე გასვლა.

პროგრამის სტრუქტურა მოწყობილია იმგვარად, რომ სტუდენტს უადვილდება შემდეგ სასწავლო სემესტრში სწავლის გაგრძელება, რადგან მის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტი მას შესაძლებლობას აძლევს დაძლიოს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი დისციპლინა.

პროგრამაში პრერეკვიზიტების სისტემა ლოგიკურად არის აგებული, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დაძლიოს შემოთავაზებული სავალდებულო საგნები.

პროგრამაში უხვად არის წარმოდგენილი არჩევითი საგნები, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს მისი ინტერესების შესაბამისად დაგეგმოს სემესტრი. ასევე ხაზი უნდა გაესვას პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობას პროგრამაში. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა პრაქტიკა გაიაროს უნივერსიტეტის სამართლის კლინიკაში, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს და ასევე აქვს ბევრი რეალური ქეისი, ამიტომ აღნიშნულ კლინიკაში საქმიანობა რეალურ გამოცდილებას მისცემს სტუდენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

პროგრამაში წარმოდგენილი სილაბუსების ნაწილში დეტალურად უნდა მოხდეს შეფასების კრიტერიუმების გაწერა. ასევე ფინალურ და შუალედურ გამოცდებზე უნდა შეეთავაზოს ორი ან მეტი კომპონენტისგან შემდგარი საკითხები, რათა მოხერხდეს მათ მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ცოდნის რეალური შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული კურსები და მათი სწორი თანაფარდობით გამოყენება უზრულველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიხედვით, არჩევით ნაწილში, ყოველ სემესტრულად სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს მისი ინტერესების მიხედვით შესაბამისი დისციპლინა, ამას უზრუნველყოფს პროგრამაში წარმოდგენილი აჩევითი საგნების მრავალფეროვნება.
ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, უმეტესობა სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.
რაც შეეხება კრედიტების რაოდენობასა და კონკრეტული კურსისი სწავლის შედეგებს, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ყველაფერი შესაბამისობაშია და კონკრეტული კურსის შინაარსი, მისი მოცულობა და კრედიტების რაოდენობა სრულად მოდის ერთმანეთთან

შესაბამისობაში. მთლლიანობაშ, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი რათა მიიღოს ბაკალავრის ხარისხი. უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ელექტრონული ბაზები, რაც სტუდენტებს და არა მარტო შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერი მიმართულებით განახორციელონ კვლევა; საბაკალავრო დონეზე გადადგან პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით და რესურსის თვალსაზრისით არ შეიზღუდონ თავი, რაც სტუდენტს დაინტერესების შემთხვევაში მისცემს შესაძლებლობას ჩაერთოს მისთვის უმნიშვნელოვანეს პროცესში. ასევე უნივერსიტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ლიტერატურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის საბაკალავრო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან o უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზები o უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა o სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკულ კომპონენტს, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პრაქტიკა გაიარონ და ჩაერთონ სამართლის კლინიკის საქმიანობაში, რომელიც მუშაობს გამართულად და რეალურად აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს მიიღოს დიდი პრაქტიკული გამოცდილება.

ასევე უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემარანდუმები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, ამ მემორანდუმების საფუძველზე ხდება სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოიყენონ ის თეორიული ცოდნა, რაც მათ მიიღეს სწავლის პროცესში და ასევე გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

უნივერსიტეტი ასევე დიდ ყურადღებას უთმობს კვლევით საქმიანობას და საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გადადგან პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით მაქსიმალურად ჩაერთონ სხვადასხვა კვლევით პროექტებში.

უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს და ასევე თვითონ არის ორგანიზატორი კონფერენციებისა და საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მათი ინერესების სფეროს შესაბამისად იყვნენ ჩართულნი ყველა ამ აქტივობაში. შექმნან სტატიები და გააკეთონ მოხსენებები, რაც პირდაპირ კავშირშია მათი პროფესიულ ზრდასთან.

უნივერსიტეტის ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მომზადებული სტატიების გამოქვეყნებას საკუთარი ხარჯებით და ასევე ორგანიზებას უკეთებს იმიტირებულ პროცესებს და საჯარო ლექციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობების ხარისხი კონტროლდება რაც გარანტიაა იმისა, რომ სტუდენტისათვის მიწოდებული პროდუქტი სრულ შესაბამისობაში იქნება მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა გამორჩეული და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება- სწავლის მეთოდებით, რომელთა მთავარი მიზანია მაქსიმალურად ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკულ აქტივობებზე და ცდილობს სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი გახადოს შრომით ბაზარზე. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება- სწავლის მეთოდები სრულ შესაბამისობაში მოდის ბაკალავრიატის საფეხურთან, ასევე თითოეული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარს და სრულად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევისკენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის საბაკალავრო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან o სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისობაშია, რაც დასტურდება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით.

სილაბუსების ნაწილში შეფასების კრიტერიუმები ერთნაირი ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად საგანი: ,,საერთაშორისო სისხლის სამართალი", სისხლის ,,სამართლის მოდული კრიმინოლოგია" და ,,შედარებითი კერძო სამართალი", ამ სილაბუსებში შუალედური შეფასების კრიტერიუმები ერთი და იგივეა. ამ ფაქტების არსებობა მიუთითებს იმას, რომ აკადემიური პერსონალი ნაკლებად არის ჩართული შეფასების სისტემის ორგანიზებაში და ძირითადად მომზადებულია ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე ეს გარემოება წარმოადგენს საფუძველს იმისა, რომ სტუდენტს არ აქვს შესაძლებლობა წინასწარ ქონდეს წარმოდგენა და მოემზადოს კონკრეტული დისციპლინის გამოცდისთვის, რაც ხელს უშლის სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას.

ასევე აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებებიდან დადგინდა, რომ მართალია სილაბუსი ითვალისწინებს ერთხელ კაზუსის ამოხსნას და მისთვის განკუთვნილია 5 ქულა, მაგრამ რეალურად ყოველ კვირას ხდება კაზუსების ამოხსნა, რაც არ მოდის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობასთან.

ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სილაბუსებზე, სადაც მითითებულია შუალედური ან ფინალური გამოცდის ნაწილში, რომ სტუდენტი ფასდება მხოლოდ ერთი კომპონენტით. მაგალითად ,, რომის სამართალი, სადაც შუალედური შეფასების ნაწილში განსაზღვრულია, რომ სტუდენტს შეთავაზებული ექნება 30 დახურული ტესტი Multtuple- choice. ამ ნაწილში შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს შეფასება ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნის სრულად შეფასებას და ამიტომ უმჯობესი იქნება თუ შეთავაზებული იქნება კომბინირებული ვარიანტი. ზუსტად იგივე სიტუაციაა საგანში: ,,სახელმწიფოს და სამართლის მსოფლიო ისტორია".

მაგრამ წარმოდგენილი სილაბუსების ნაწილში შუალედური და ფინალური შეფასების კუთხით ვხვდებით პრობლემებსაც, მაგ: ,,რეპეტიტორიუმი სპეციალობაში" , ამ საგნების სილაბუსებში შეფასების ნაწილი ზოგადია, არ არის ჩაშლილად წარმოდგენილი, რაც ბადებს კითხვის ნიშნებს და არსებობს საფრთხე იმისა, შედეგზე გასვლასთან დაკავშირებით შეიძლება შეიქმნას პრობლემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

სილაბუსების უმეტესობაში შეფასების კრიტერიუმები იდენტურია, ერთადერთი განსხვავება მდგომარეობს ქულების დაყოფაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებულია დალაგდეს სილაბუსები პირადი შეხედულებების მიხედვით, ასევე კურსის სპეციფიკის მიხედვით იმისათვის, რომ თითოეული ლექტორის აკადემიური თავისუფლება იყოს დაცული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან [redacted] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		[redacted]		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშზე, დოკუმენტაციაზე და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე დაყრდნობით შეფასებული იქნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა. კერძოდ, სასწავლო პროცესის მაეგულირებელი წესი და შიდა მარეგულირებელი აქტები, რომელიც ჩამოყალიბებულია ნათლად და მკაფიოდ. უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტებისათვის აუცილებელი

ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დეტალურად და ნათლად არის განმარტებული. სტუდენტები იღებენ საჭირო კონსულტაციებს და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით, აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, დასაქმებისა და პროფესიული განვითარებისათვის. ფაკულტეტის ადმინისრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალის ყოველთვის მზად არის მხარდაჭერა გაუწიონ სტუდენტებს დაგეგმონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და უპასუხონ სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ შეკითხვებზე. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დაგეგმონ სემესტრი, აირჩიონ კურსები არჩევითი საგნების ბლოკიდან. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს არსებული რეგულეაციები და შიდა მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომია და გასაგები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სტუდენტებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე. ესაბამისი ელექტრონული პლატფორმა არსებობს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. სტუდენტებთან განხორციელებულ ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი გამოირჩევა მხარდაჭერით თითოეული სტუდენტის აკადემიური ცხრილის დაგეგმვის პროცესში. ლექციების ცხრილი არის მოქნილი და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს ლექციების სასურველი დრო.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ერთიანი საბიბლიოთეკო სივრცე და კომპიუტერული სასწავლო ოთახი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს მულტი პროფილურ რესურსს, წიგნები ძირითადად წარმოდგენილია ქართულ ენაზე, მათ შორის მოცემულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და საჭირო ლიტერატურა. ასევე ბიბლიოთეკაშო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოდგენილი იყო ელექტრონული ინტერნეტ ბაზები. მათ შორის „Herald of Georia's"; „Cambridge journals Online", „e-Duke Journals" და ა.შ. ბიბლიოთეკაში ასევე არსებობს ელექტრონული ბაზაც, უცხო ენაზე არსებული წიგნების უმეტესობა ხელმისაწვდომია აღნიშნული ბაზის მეშვეობით. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული მოქნილი კატალოგი, ასევე წიგნების მიწოდების მხარდაჭერას ახორციელებენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

აკადემიური პერსონალის დატირთვის სქემაში გათვალისწინებულია საბაკალავრო პროგრამის სტუდენბთან მუშაობა, მათთან კომუნიკაციის ხელმისაწვდომობა დადასტურებული იქნა. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულია ინდივიდუალური შეხვედრები და კონსულტაციები. უნივერსიტეტის სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კონფერენციების, იმიტირებული სასამართლოების, საჯარო ლექციების შესახებ და ხელს უწყობს მათ ჩართვას აღნიშნულ აქტივობებში. წარმატებული სტუდენტები ღებულობენ უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ სტიპენდიას. სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში, უნივერსიტეტს გააჩნია იმიტირებული პროცესის დარბაზი ყველა საჭირო აღჭურვილობით. უნივერსიტეტი არ არის ჩართული ერასმუსის პროგრამაში, თუმცა თანამშრომლობს პარტნიორ უნივერსიტეტბთან სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის შედეგების ანალიზს სტუდენტების მიხედვით იმისათვის, რომ სამომავლო განვითარების და მიღწევების დადასტურების მიზნით. უნივერსიტეტის მიერ შექმნილი საბაკალავრო პროგრამა ცდილობს გამოუმუშაოს სტუდენტებს სპეციფიკური უნარები რომელის საჭიროა პრაქტიკული უნარების განვიტარებისათვის. სტუდენტების მოსაზრებით კურსების

სახელწოდებები და მიმართულებები კარგად არის ჩამოყალიბებული. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სამართლებრივი ინგლისური ენის კურსს და აკადემიური პერსონალის ლექციების კომპონენტს უცხო ენაზე (ინგლისური და გერმანული ენა). აღნიშნული მიდგომა ძალიან კარგია უცხო ენის უნარის განვითარებისათვის. უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს დასაქმების პერსპექტივას, მათ მიეწოდებათ ინფორმაცია სტაჟირებისა და დასაქმების შესახებ. ერთი სემესტრი მთლიანად ეძღვნება პროფესიულ პრაქტიკას. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ პრაქტიკის მიმართულება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების და პოტენციურ დამსამქნებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად სტაჟირებების შესახებ. დამსაქმებლები არჩევენ სტუდენტებს სტაჟირებისათის და ხშირია შემთხვევა როდესაც შემდგომ აღნიშნული სტუდენტები საქმდებიან აღნიშნულ ორგანიზაციებში. სტუდენტები ასევე ჩართულები არიან იურიდიულ კლინიკაში. მათ მოვალეობაში შედის: მონაწილეობის მირება დოკუმენტაციის მომზადებაში, იურისიტის დახმარება და პროცესში მონაწილეობა. ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების, ღონისძიებების და სხვა აქტივობების შესახებ ხელმისაწვდომია და ყველა სტუდენტს ეძლევა საშუალება ჩაერთოს და მიიღოს მონაწილეობა. მიუხედავად აღნიშნული ფაქტებისა სტუდენტების ჩართულობა და მონაწილეობა უცხოენოვან კომპონენტებში, გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო და აკადემიურ აქტივობებში ძალიან დაბალია. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს რომ ზოგიერთი მათგანი დაინტერესებული იყო გაცვლითი პროგრამებით. მაგრამ მიუხედავად ამისა საერთაშორისო აქტივობის სიმცირე შეინიშნებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის არ არის მაღალი, რაც ასევე აფერხებს მათ აიჩიონ საგნები ინგლისურ ენაზე, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში და სხვა აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში და პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ▪ სილაბუსები ▪ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ▪ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგები ▪ ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: ინტერნაციონალიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია სასწავლო ნაწილის გარკვეული ნაწილი წაკითხულ იქნას უცხოურ ენაზე (ინგლისური, გერმანული). აღნიშნული მიდგომა ასევე კარგი გზაა არის უცხო ენის უნარის განვითარებისათვის. ასევე ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში დაეხმარება კარიერულ წინსვლაში და განვითარებაში. უნივერსიტეტმა ფოკუსირება უნდა მოახდინოს სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლითი შესაძლებლობების ჩამოყალიბებაზე. უნდა გაგრძელდეს მუშაობა არსებულ და ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან იმისათვის რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა გამოყენებული იქნას პროგრამის განვითარების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს არჩევით საგნებს: ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის (2014 წლის ივნისში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს) როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. აღნიშნული საგანი საჭიროა და საერთაშორისო ორიენტაციაზე მიუთითებს. ასევე საბაკალავრო პროგრამის დასრულებამდე, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს „რეპეტიტორიუმის კურსს". აღნიშნული კურსი ჩამოყალიბდა იმისათვის, რომ სტუდენტმა გაიმეოროს/მიმოიხილოს ძირითადი კურსები რაც მან გაიარა პროგრამის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში გაეცნოს ახალ თემებს, ცვლილებებს და დამატებებს საქართველოს კანონმდებლობაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		■		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. ყოველივე მათგანს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და ახორციელებენ შესაბამის სწავლებას თავის დარგში. უმრავლესობას აქვს მინიჭებული დოქტორის ხარისხი სამართალში და აქტიურად არიან ჩართულები პროფესიული განვითარების პროცესში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია ყველა საჭირო კომპეტენცია იმისათვის რომ დაეხმარონ სტუდენტებს მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს (პუბლიკაციების, პროფესიული გამოცდილების, საერთაშორისო უნივერსიტეტბთან თანამშრომლობის, საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობის ჩათვლით). აკადემიური და მოწვეული პერსონალი კოორდინაციაშია საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობასთან, რომელიც პროგრამის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. პროგრამის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს სტუდენტი არა მხოლოდ თეორიული ცოდნით არამედ გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები იმისათვის რომ შეძლოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება რაც გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი მომენტია მათი სამომავლო განვითარებისათვის. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია ძლიერი საგანმანათლებლო და ფართო პრაქტიკული გამოცდილება სწავლებაში. მათ მიერ შექმნილი და წაკითხული კურსები შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს დააგროვოს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა შესაბამის საგანში, არამედ ისწავლოს თუ როგორ მოახდინოს მირებული ცოდნის რეალიზაცია პრაქტიკაში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის მიცემული შესაძლებლობა გამოაქვეყნონ სტატიები უნივერსიტეტის ჟურნალში და მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში ადასტურებს იმას რომ პროგრამის მიზნები მიღწევადია.თუმცა უმჯობესი იქნება თუკი უნივერსიტეტი გააფართოებს აღნიშნულ მიმართულებებს და შესთავაზებს მეტ საშუალებებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აკადემიურ აქტივობებში როგორიც არის კონფერენციები, ტრენინგები და ა.შ.

ლექციები იკითხება არა მხოლოდ მაღალი გამოცდილების და კვალიფიკაციის მქონეაკადემიური პერსონალის მიერ არამედ მოწვეული პერსონალის მიერაც, რომელთა შორის არიან პრაქტიკოსები კონკრეტული მიმართულებების მიხედვით და გამოირჩევიან მაღალი კვალიფიციურობით. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია მაღალი კომპეტენცია და დიდი გამოცდილება იმისათვის რომ უხელმძღვანელოს პროგრამას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გამართულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამა ხორციელდება და იმართება მაღალკვალიფიციური პერსოანლის მიერ. აღინიშნა, რომ მათ მიერ პროგრამის არჩევა განპირობებული იყო პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
- სილაბუსები
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგები

- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვთ საშუალება გამოაქვეყნონ სტატიები უნივერსიტეტის ჟურნალში, ორგანიზება გაუწიონ და მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში რაც ერთგავრი დასტურია იმისა რომ პროგრამის მიზნები მიღწევადია. მიუხედავად ამისა, უკეთესი იქნება თუ კი უნივერსიტეტი გააფართოებს საძლებლობებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის იმისათვის რომ მონაწილეობა მიიღონ სხვადსხვა აკადემიურ აქტივობებში. მაგალითისათვის: მოხდეს მათი ჩართვა უნივერსიტეტის გარეთ აქტივობებში, იქნება ეს კვლევა, საგრანტო პროექტი, სამეცნიერო კონფერენცია თუ სხვა აქტივობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე, დოკუმენტაციაზე და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე დაყრდნობით შეფასებული იქნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა. კერძოდ, პროგრამა ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. ყოველივე მათგანს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისათვის რომ განახრციელონს სწავლება თავიანთ დარგში. უმრავლესობას

აქვს დოქტორის ხარისხი სამართალში და არიან აქტიურად ჩართულები პროფესიული განვითარების პროცესში. უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა სამეცნიერო და სწავლების აქტივობებს. აკადემიური პერსონალი, სტუდენტებთან ერთად აქტიურად არიან ცართულები აღნიშნულ აქტივობებში. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს ყოველ წლიურ სამართლის კონფერენციას. კონფერენციის საუკეთესო მონაწილეები შემდგომ მონაწილეობენ სხვა უნივერსიტეტების მიერ უზრუნველყოფილ კონფერენციებში. საუკეთესო თემები არის გამოქვეყნებული უნივერსიტეტის ჟურნალში. უნივერსიტეტს გააჩნია ყველა მნიშვნელოვანი რესურსი კვლევისათვის და მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის. იხილეთ ასევე კომპონენტი 4.3. (მატერიალური რესურსი). აკადემიური და მოწვეული პერსონალის რამოდენიმე წევრი ჩართულია საერთაშორისო პროექტში. მიუხედავად აღნიშნულისა უმჯობესი იქნებოდა თუ კი უნივერსიტეტი გააფართოებდა აღნიშნულ მიმართულებებს და შექმნიდა მეტ შესაძლებლობას აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის მონაწიელობა მიეღოთ სხვადსხვა აცადემიურ აქტივობებში როგორიც არის საერთაშორისო კონფერენციებში, ტრეინინგებში და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში და პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ▪ სილაბუსები ▪ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ▪ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგები ▪ ვებ-გვერდი ▪ ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის პროფესიულ განვითარებას. მათ აქვთ პუბლიკაციები რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ჟურნალში. რამოდენიმე მათგანი (აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები) ჩართულები არიან საერთაშორისო პროექტებში. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა უნივერსიტეტმა მოახერხოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა უნივერსიტეტის გარეთ განხორციელებულ აქტივობებში. მაგალითისათვის: კვლევები, საგრანტო პროექტები სამეცნიერო კონფერენციებისათვის. ასევე შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გამოცილების გაზიარების მიზნით, კოლექტიური კვლევითი პროექტების უზრუნველყოფა რგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე როგორც სამეცნიერო ასევე კარიერული განვიტარების მიზნით, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სამომავლო განვითარებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. ყველა აუდიტორიას აქვს საკუთარი კომპიუტერი და პრექტორი. შესაბამის ელექტრონული ბაზა არსებობს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. მიუხედავად ამისა სტუდენტებს ასევე დეტალურად განემარტებათ სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაცია. სტუდენტებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ასევე დიდი მხარდაჭერით გამოირჩევიან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში და თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური აკადემიური ცხრილის დაგეგმვაში. ლექციების ცხრილი არის მოქნილი და სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ მათთვის სასურველი დრო. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ერთიანი საბიბლიოთეკო სივრცე და კომპიუტერული სასწავლო ოთახი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს მულტი პროფილურ რესურსს, წიგნები ძირითადად წარმოდგენილია ქართულ ენაზე, მათ შორის მოცემულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და საჭირო ლიტერატურა. ასევე ბიბლიოთეკაშო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოდგენილი იყო ელექტრონული ინტერნეტ ბაზები. მათ შორის „Herald of Georia's"; „Cambridge journals Online", „e-Duke Journals" და ა.შ. ბიბლიოთეკაში ასევე არსებობს ელექტრონული ბაზაც, უცხო ენაზე არსებული წიგნების უმეტესობა ხელმისაწვდომია აღნიშნული ბაზის მეშვეობით. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული მოქნილი კატალოგი, ასევე წიგნების მიწოდების მხარდაჭერას ახორციელებენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები. სტუდენტები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში. უნივერსიტეტში არის იმიტირებული სასამართლო დარბაზი ყველა საჭირო აღჭურვილობით. იმისათვის რომ გაიზარდოს და გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი და საერთაშორისო ურთიერთობები ინგლისური ენის სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია. ინგლისური ენის ცურსები და პროფესიოული ინგლისურის კურსი გათვალისწინებულია პროგრამაში მაგრამ სტუდენტებთან და კურსდამთვარებულებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებს ნაკლები ინტერესი აქვთ აირჩიონ კურსი უცხო ენაზე (ინგლისური და გერმანული ენა). აღნიშნული მდგომარეობა ამცირებს შესაძლებლობას სტუდენტებისათვის მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და გამოიყენონ უცხოენოვანი მასალა სწავლის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
- სილაბუსები
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგები
- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უმჯობესი იქნება თუ კი იტერნეტ ბაზა მაგალითისათვის "Heinonline" და "LexisNexis" ხელმისაწვდომი იქნება ბიბლიოთეკაში როგორც სტუდენტებისათვის ასევე აკადემიური პერსონალისათვის. სრული წვდომა აღნიშნულ ბაზებზე მათ საშუალებას მისცემს ისწავლონ და იკვლიონ შესატყვისი საერთაშორისო რესურსის გამოყენებით, მათი სწავლის განვითარების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის/სამართლის ფაკულტეტის ბიუჯეტი ასახავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობისათვის გათვალისწინებულ ფინანსურ ხარჯებს. უნივერსიტეტი იურიდიული ფორმით წარმოადგენს კერძო იურიდიულ პირს, რომელიც ფინანსდება სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურით. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასის ხარჯებს.

ასევე გათვალისწინებულია სამეცნიერო მივლინება, რეკლამა, სტუდენტების სტიპენდია, ლიტერატურის შეძენის ხარჯები, გამოქვეყნების ხარჯები, რომელიც ფარავს სამეცნიერო ჟურნალის გამოქვეყნების ხარჯებს. სამართლის სკოლას გააჩნია ბიუჯეტი სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და მოთხოვნებიდან გამომდინარე. მიუხედავად აღნიშნულისა სასურველია გაიზარდოს კვლევისათვის, კვლევითი პროექტებისათვის და ლიტერატურისათვის გამოყოფილი თანხა შესაძლებლობის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
- სილაბუსები
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგები
- ვებ-გვერდი
- ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უნივერსიტეტმა და სამართლის ფაკულტეტმა იმისათვის რომ სიღრმისეულად მიაღწიონ მიზანს უფრო მეტად უნდა იმუშაონ გრანტების და დაფინანსების მოპოვებაზე სტუდენტებისათვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის. აღნიშნული მიდგომა ასევე შეეხება ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლებას. ყოველივე გაზრდის მეტის სტუდენტის მოზიდვის შესაზლებლობას. (უნდა აღინიშნოს რომ რანტები და სტიპენდია სტუდენტებისათვის უკვე არსებობს).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს პროგრამისმონიტორინგს. ამ მიზნის ხდება სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მიერ შეფასების ფორმების შევსება. ხარისხის სამსახური აღნიშნულ შეფასებებს იყენებს პროგრამის განსავითარებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის განხორციელებამდე რამდენიმე ხნით ადრე მოხდა ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის ცვლილება, მასთან გასაუბრების შემდეგ დარჩა შთაბეჭდილება, რომ ხარისხის სამსახური უფრო აქტიურად განახორციელებს მონიტორინგს და პროგრამის სრულყოფას. გასაუბრების შედეგად გაირვა, რომ სტუდენტების შეფასებებისა და მოსაზრებების შედეგად ხდებოდა პროგრამის მოდიფიცირება, მაგალითად უფრო მეტი ადგილი დაეთმო პრაქტიკულ კომპონენტს, ასევე პროგრამიდან ამოღებულ იქნა საგანი კრიმინალისტიკა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის სამსახური აკონტროლებს და ამოწმებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული ლექციებისა და სემინარების ხარისხს. რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის. ასევე მოწმდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევები. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია. სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და

საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ მონიტორინგს. უნივერსიტეტში დანერგილი, სასწავლო პროცესზე დაკვირვების პროცედურა - peer-review, მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც გულისხმობს ერთობლივ განხილვას, რაც პროფესორებს შორის შინაარსობრივი განხილვების წახალისების ეფექტურისაშუალებაა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს შიდა შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების გასარკვევად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ჩატარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ▪ ინტერვიუ სამართლის ფაკულტეტის დეკანთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ექვემდებარება ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცედურებს, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ახალი ვადით მოსაპოვებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გადის აკრედიტაციის პროცედურას. ამ მიზნით ის ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას, ასევე პერიოდულად აგზავნის სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში" თვითშეფასების ანგარიშს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი პროგრამის შეფასებას ახორციელებს მოწვეული ექსპერტების მიერ და ცდილობს მაქსიმალურად ასახოს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები პროგრამაში. ეს გარემოება არის მნიშვნელოვანი გარანტია იმისა, რომ პროგრამა სწორი მიმართულებით ვითარდება და აქვს შესაძლებლობა უპასუხოს გამოწვევებს. მოწვეულიექსპერტების შერჩევის კრიტერიუმებიც განსაზღვრულია და რეგულაციებით შესაძლებელია მხოლოდ მიუკერძოებელი და დაინტერესების არმქონე პიროვნებების მოწვევა, რაც ასევე ხაზს უდსვამს მათ მიერ მომზადებული რეკომენდაციების მნიშვნელობას. ასევე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტს აქვს დამკვიდრებული წესი, რომლის მიხედვითაც ის უკვეთავს კერძო კომპანიას კვლევას, რომელიც ეხება პროგრამის შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებთან შესაბამისობის გამოკვლევას, ამ მიმართულებით კვლევები ხშირად ტარდება და ხდება მიღებული შედეგების დამუშავება და გათვალისწინება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ▪ ინტერვიუ სამართლის ფაკულტეტის დეკანთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების,

კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი ხდება ყოველწლიურად. ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარის ფორმა სტუდენტებისთვის, რომლის მიხედვითაც ხდება სტუდენტების გამოკითხვა, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი გამოკითვის პროცესში როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული ლექტორები. უნივერსიტეტს აქვს ხშირი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და წინადადებების გადამუშავებისსა და ანალიზის საფუძველზე ხდება პროგამის გაუმჯობესება და მოდიფიცირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ▪ ინტერვიუ სამართლის ფაკულტეტის დეკანთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	■			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		■		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		■		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა